უიარაღო ომი

ზაურ ნაჭყებია

ჟურნალ „ბიზნესი და კანონმდებლობის“ რედაქტორთა საბჭოს თავმჯდომარე

ომი ყველაზე მძიმე და დამანგრეველი რეალობაა ჯაცობრიობის არსებობის პრაქტიკაში. იგი სპობს და ანადგურებს ყველაფერს, სადაც ჯი მიწვდება და ისეთივე საშიშია, როგორც გლობალური ბუნებრივი კატაკლიზმები, რომელსაც ძალუძს აღგავოს სამყარო პირისაგან მიწისა.

თუ გადატანითი მნიშვნელობით ვიტყვით, ომი უფლის სასჯელია ცოდვილი ჯაცობრიობის დასაფიქრებლად და „ჭკუაზე“ მოსაყვანად.

დასაბამიდან მოყოლებული, იმისდა მიხედვით იცვლებოდა საომარი საშუალებები, თუ რა დონეზე იყო ჯაცობრიობა ცივილიზაციის (სამხედრო ტექნოლოგიების) თვალსაზრისით.

ბოლოდროინდელი პრაქტიკა ცხადყოფს, რომ არსებობს უიარაღო ომი, როცა ბალისტიკური რაკეტების, თუ უკანასკნელი ყაიდის სხვა საბრძოლო ტექნოლოგიების გარეშეც შესაძლებელია მოსახლეობის განადგურება.

ეს ის შემთხვევაა, როცა უცხო ქვეყნის „ბიზნეს“, თუ მზაკვრულ ინტერესებს ეწირება საკუთარი ქვეყნის არათუ სასიცოცხლო ინტერესები, არამედ, თვით ადამიანთა სიცოცხლეც ჯი.

ხახვითა და პომიდვრით „დაპყრობილი“ ქვეყანა!

საქართველომ აგრარულ სექტორში პოზიციები ჯერ კიდევ მაშინ დათმო, როცა ერთიანი სამეურნეო კომპლექსი ხუხულასავით დაინგრა. ჩვენდა სამწუხაროდ, არაფერი ვიღონეთ, რომ ამ ნანგრევებში არ მოვყოლილიყავით. საბჭოეთში შემავალ სხვა მოკავშირე რესპუბლიკებისგან განსხვავებით, ისე ელვისებურად დავანგრიეთ და დავამსხვრიეთ ყველაფერი, არც კი გვიფიქრია (არადა, ვალდებულნი ვიყავით!), რომ საუკუნოვან ტრადიციებს შენარჩუნება სჭირდებოდა (არაფერს ვამბობ სამრეწველო პოტენციალის შენარჩუნებაზე, რომელიც მთლიანად საბჭოთა სისტემაზე იყო მიბმული).

საბჭოთა მეურნეობა-კოლმეურნეობებისადმი (და საერთოდ, ყოველივე **„საბჭოურისადმი“)** ქრონიკული სიძულვილით დაბრმავებულებმა სისტემის რღვევას გამართული ინფრასტრუქტურაც ზედ მივაყოლეთ და უარი ვთქვით სოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგების გადარჩენაზე. იმდენად **„სულსწრაფნი“** აღმოვჩნდით, შენობა-ნაგებობებიც აგურ-აგურ დავშალეთ და როგორც **„კოლექტიური შრომის“** ნაყოფი, დავინაწილეთ კიდეც. ასე და ამგვარად, ერთ დროს ძლიერი და ღონიერი ქართული სოფელი პატრონის (როგორც მიჩვეულები ვიყავით, სახელმწიფო მეურვეობის) გარეშე აღმოჩნდა და დაიწყო მისი დასუსტება-გაჩანაგების შეუქცევადი პროცესი.

მართალია, საქართველოს წილი საბჭოთა კავშირის აგრარულ სექტორში 1,6%-ს შეადგენდა (ციტრუსების წარმოებაში 100%-ს, ჩაის წარმოებაში 98%-ს), მაგრამ, ქართულ სოფელში რომ სიცოცხლე დუღდა და გადმოდუღდა, ფაქტია. მიუხედავად იმისა, რომ ხშირად სტატისტიკურ მაჩვენებლებს, ანუ, რაოდენობას ეწირებოდა ხარისხი, სოფლის მეურნეობა მაინც აღმავლობის გზით მიდიოდა. მიწასაც გლეხკაცისა და სახელმწიფოს სახით პატრონი ჰყავდა და საქართველო მისთვის საჭირო სასურსათო პროდუქტს ადგილზე აწარმოებდა (მახსოვს, სოც-შეჯიბრებაში გამარჯვების დასტურად როგორ აფრიალებდნენ კომპარტიის მაშინდელი

ლიდერები გარდამავალ საკავშირო დროშებს), მეტიც, ზოგიერთი პროდუქტი მთლიანად საბჭოთა კავშირზე იყო ორიენტირებული.

სამწუხაროდ, სოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგებისადმი გულგრილობის სიმპტომები ეროვნული ხელისუფლების მოსვლისთანავე გაჩნდა (არადა, სისტემის რღვევა სულაც არ ნიშნავდა სოფლის მეურნეობაზე ხელის ჩაქნევას) და შემდგომ და შემდგომ საერთოდ დავიწყებას მიეცა. თუმცა, ყველაფერს ხელისუფლებას ვერ დააბრალებ – **უპატრონოდ მიტოვებულმა ქართველმა გლეხმა ახალ რეალობას ალღო ვერ აუღო, თანდათან მიწის სიყვარული დაკარგა და თანამემამულეთა წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობაც დაუჩლუნგდა** (სოფელი კვებავდა ქალაქს და პირიქით). **საკუთარ ხვედრს იმდენად შეურიგდა, არც კი უფიქრია საზოგადოებრივი მეურნეობის ბაზაზე პატარ-პატარა ამხანაგობები შეექმნა და თავისი საქმიანობა უფრო ეფექტური გაეხადა.** მერე და მერე, ინიციატივა დაკარგულმა და უსახსროდ დარჩენილმა ხელი საერთოდ ჩაიქნია და... გაზარმაცდა. ფორმირებადმა სახელმწიფომ კი გულთან ახლოს არ მიიტანა ქართული სოფლის გასაჭირი და, როგორც მოსალოდნელი იყო, ქვეყნის სასიცოცხლო დარგის **„განვითარება“** სტიქიურად წარიმართა. **ამას დაემატა ისიც, რომ ქართული პროდუქტი ხელისუფლების მიზანმიმართული პოლიტიკის წყალობით კონკურენტუუნარო გახდა – დიახ, ქართველი გლეხი დადგა იმ ფაქტის წინაშე, რომ შემოტანილი პროდუქტი უფრო იაფი იყო და ადგილობრივი მას კონკურენციას ვერ უწევდა** (და დღესაც ვერ უწევს!). **შედეგად სახეზე გვაქვს გატყიურებული ჩაის პლანტაციები (რომელიც დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის შემოსავლის ხერხემალი იყო!), დასალპობად განწირული სუბტროპიკული კულტურები, სამასხროდ აგდებული უნიკალური ქართული ვაზის ჯიშები, უსახსრობის გამო დაუმუშავებელი ფართობები და უცხოტომელებზე უცერემონიოდ გაყიდული სასოფლო-სამეურნეო სავარგულები.**

„ვარდების რევოლუციამდე“ და რევოლუციის შემდეგაც გვაჩვევენ იმას, რომ საქართველომ, როგორც აგრარულმა ქვეყანამ თავისი ბუნებრივი დანიშნულება დაკარგა და გზა უხარისხო, უგემოვნო, პესტიციდებით გაჟღენთილ უცხოურ პროდუქციას უნდა დაუთმოს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, არაფერს გვეუბნებიან იმაზე, რამდენად უსაფრთხოა ეს პროდუქცია ადამიანის ჯანმრთელობისთვის და რამდენად უწყობს იგი ხელს ქართული სოფლის საბოლოოდ დასუსტება-დასამარებას.

დღეს, როცა საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, აგრარული განვითარების კომპლექსური პროგრამა არ გააჩნია აუცილებელია ამ დარგის განვითარების ცალკეულ ღონისძიებებზე შევჯერდეთ, რათა პროცესების განვითარების მთლიანობა არ დაირღვეს (სხვანაირად ქვეყანაში სურსათის წარმოების პირობები დამძიმდება). ამ კონტექსტში შევეხები ერთ მეტად დამაფიქრებელ პოზიციას,

რომელიც საქართველო-თურქეთის სახელმწიფოებრივ ურთიერთობებში გამოჩნდა. მხედველობაში მაქვს **თურქეთ-საქართველოს თავისუფალი სავაჭრო შეთანხმება** (შეიძლება ითქვას, **„ისტორიული შეთანხმება“)**, რომელიც, ჩემის აზრით, საფრთხეებს შეიცავს, კერძოდ:

- **შეთანხმება ხელს შეუწყობს თურქული გენმოდიფიცირებული და იაფფასიანი პროდუქციის შემოდინებას საქართველოში, რაც თავის მხრივ, სერიოზულ საფრთხეს უქმნის ქვეყნის სასურსათო დამოუკიდებლობას (ეს განსაკუთრებით იჩენს თავს ზემოთხსენებული აგრარული პროგრამის არქონის ფონზე) და მუდმივად სხვა ქვეყნებზე ვიქნებით მიბმული;**
- **შეთანხმება კიდევ უფრო არაკონკურენტუნარიანს გახდის ქართულ პროდუქციას და არსებით პრობლემებს შეუქმნის ქართველ ფერმერებს (საბოლოოდ მონოპოლიზებული გახდება დღემდე დაუცველი ქართული ბაზარი, რასაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს იმპორტზე ნულოვანი გადასახადის დაწესება);**
- **ექსპერტთა პროგნოზებით, თავდაპირველად შემოვა იაფი პროდუქცია, რომელიც ბაზრიდან ქართული პროდუქციის საბოლოოდ განდევნის შემდეგ მონოპოლისტური გახდება და გაძვირდება კიდეც!**
- **საკითხავია ისიც, რამდენად სუფთა იქნება შემოტანილი პროდუქტები და რამდენად დაცული იქნება ქართული ბაზარი შხამქიმიკატებით და ნიტრატებით გაჯერებული პროდუქციისგან. თუ რეალობას თვალს გავუსწორებთ, ქვეყანაში ამის აღკვეთის პოლიტიკური ნება ჯერჯერობით არ არსებობს – სახელმწიფო არ აკონტროლებს (არ ამოწმებს) რამდენად უსაფრთხოა შემოტანილი აგრარული პროდუქცია ადამიანის ჯანმრთელობისთვის;**

- **საკმაოდ დამაფიქრებელია დღეისათვის არსებული ბალანსი. სტატისტიკა ცხადყოფს, რომ აგრარულ ბაზარზე საკუთარი პროდუქცია მხოლოდ მთლიანი მოხმარების 1/3-ია, რაც აღნიშნული შეთანხმების წყალობით შეიძლება კიდევ უფრო შემცირდეს და ნულამდე დავიდეს!**
- **დამაფიქრებელია ისიც, რომ აღნიშნული შეთანხმებით თითქმის არაფერი გაგვაქვს (გარდა ქართული ღვინოსი, რომლის მოცულობაც არც ისე მასშტაბურია), რაც საეჭვოს ხდის შეთანხმების ეკონომიკურ ეფექტიანობას და რასაც არც ერთი ნორმალური სახელმწიფო არ ისურვებდა.**

აქედან გამომდინარე, ქვეყანამ საჩქაროდ (დაუყოვნებლივ) უნდა შეიმუშაოს მკვეთრად გამოკვეთილი, ეროვნულ თავისებურებებს მორგებული აგრარული პოლიტიკა, გამოიყენოს ის რესურსები, რომელიც გაყიდვას, ან გაპარტახებას გადაურჩა და დანერგოს საკუთარ რესურსებზე ორიენტირებული ინოვაციური ტექნოლოგიები.

ნაკლებად მჯერა, რომ დღევანდელი მთავრობა ქართული სოფლის აღორძინებაზე ფიქრით თავს შეიწუხებს, მაგრამ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ საზოგადოების ყურადღების მიღმა დავტოვოთ ის უმნვავესი პრობლემები, რომელიც უახლოეს მომავალში ქართველთა გენოციდის საფუძველი შეიძლება გახდეს!

ალბათ დადგა დრო, ქართველმა აგრარიკოსებმა (ისინი ღვთის წყალობით ჯერ კიდევ შემოგვრჩნენ), ექსპერტთა მონაწილეობით შეიმუშაონ საქართველოს აგრარული განვითარების კონცეფცია, რომელიც საფუძვლად დაედება ქვეყნის აგრარულ პოლიტიკას. საზოგადოების აქტიური ძალისხმევით კი ვაიძულოთ მთავრობა პირი იბრუნოს სოფლისაკენ. ეს მითუმეტეს აქტუალურია დღეს – მოსალოდნელი სასურსათო კრიზისის პირობებში.

P.S. ისე, თუ დავფიქრდებით მოსახლეობის განადგურების **„ახალი იარაღიც“** სახეზეა – **სასურსათო ომი,** რომელიც უცხოტომელებმა ჩვენი მთავრობის უნიათობით და საზოგადოების ინერტულობით ადვილად შეიძლება მოგვიწყონ!